ბარბარიზმების ლექსიკონი

ლექსიკოგრაფიული ცენტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2017

შთაგონება

ინსპირაცია

ძვირფასო მკითხველო!

მოძრაობა #არაბარბარიზმებს იწყებს ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ლექსიკონის წარდგენას ჩვენი საზოგადოებისათვის. ამ ეტაპზე ლექსიკონში შევიდა ის ბარბარიზმები, რომლებიც მოძრაობის გვერდზე ქვეყნდებოდა 2016 წლის ნოემბრის ბოლოდან დღემდე. ბარბარიზმების შემცველი სიტყვა-სტატიების გამოქვეყნება კვლავ გაგრძელდება ყოველდღიურად და ლექსიკონის შევსებულ ვერსიას თვეში ერთხელ მივაწოდებთ დაინტერესებულ მკითხველს. ბარბარიზმების სია ყოველდღიურად ივსება ჩვენი მეგობრების და მხარდამჭერების მიერ გამოგზავნილი მასალით. ვფიქრობთ, რამდენიმე თვე დაგვჭირდება იმისათვის, რომ გამოვავლინოთ და ლექსიკონში შევიტანოთ ის ბარბარიზმები, რომლებიც ყველაზე ხშირად ისმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან.
ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ამ პროცესის შეჩერება და საზოგადოებისათვის ბარბარიზმების ქართული შესატყვისების შეთავაზება.
ლექსიკონზე მუშაობის პარალელურად ვაქვეყნებთ სტატიებს, რომლებშიც ვცდილობთ წარმოვაჩინოთ ამ პრობლემის არსი და ძირითადი მიზეზები.
ასე რომ, ადევნეთ თვალი ჩვენი მოძრაობის გვერდს #არაბარბარიზმებს.

გვიხარია, რომ ბარბარიზმების ლექსიკონზე ჩვენი ცენტრი ქართულ საზოგადოებასთან ერთად მუშაობს!

ლექსიკოგრაფიული ცენტრი

ა

~~არროგანტული~~ *a* **arrogant** ქედმაღალი, მედიდური, ამპარტავანი, დიდგულა, გულზვიადი
გთხოვთ, ~~არროგანტულობაში~~ ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ.

~~ასისტანსი~~ *n* **assistance** დახმარება
24-საათიანი სამედიცინო ~~ასისტანსი~~ დახმარება.

~~ატიტუდი~~ *n* **attitude** დამოკიდებულება
დისკრიმინაციული ~~ატიტუდი~~ დამოკიდებულება / მიდგომა.

~~აფილირებული~~ *a* **affiliated** დაკავშირებული
ის ამ პოლიტიკურ პარტიასთანაა ~~აფილირებული~~ დაკავშირებული.

~~აქტორი~~ *n* **actor** მოქმედი პირი
გახდი პოლიტიკური მოვლენების მთავარი ~~აქტორი~~ მოქმედი პირი.

~~აჯენდა~~ *n* **agenda** დღის წესრიგი
ვაქვეყნებთ შეხვედრის ~~აჯენდას~~ დღის წესრიგს.

ბ

~~ბაიერი~~ *n* **buyer** შესყიდვების მენეჯერი, შემსყიდველი
მისი კოლექციით უცხოელი ~~ბაიერები~~ შემსყიდველები დაინტერესდნენ.

~~ბორდერიზაცია~~ *n* **borderisation** საზღვრის გავლება
უკანონო ~~ბორდერიზაცია~~ საზღვრის გავლება გრძელდება.

~~ბორდი~~ *n* **board** მმართველობა; საბჭო; კომისია, კოლეგია; კომიტეტი
თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ, ბატონი სმითი კომპანია N-ის ~~ბორდში~~ მმართველ საბჭოში ინაცვლებს.

გ

~~გაკვეთილის აღება~~ **to take a lesson** სწავლა
~~ფრანგულის ენის გაკვეთილებს ვიღებ~~ ფრანგულს ვსწავლობ.

დ

~~დაანონსება~~ *v* **announce** გამოცხადება, განცხადება, უწყება
მან ~~დააანონსა~~ გამოაცხადა ახალი საავადმყოფოს გახსნის შესახებ.

~~დისემინაცია~~ *n* **dissemination** გავრცელება
მიუთითეთ URL მისამართი, რომლის მეშვეობითაც ხდება კვლევის შედეგების ~~დისემინაცია~~ გავრცელება.

~~დედლაინი~~ *n* **deadline** უკანასკნელი / ბოლო ვადა
როდის არის საბუთების ჩაბარების ~~დედლაინი~~ ბოლო ვადა?

~~დესტინაცია~~ *n* **destination** დანიშნულების ადგილი
საქართველო - ტურიზმის მთავარი ~~დესტინაცია~~ დანიშნულების ადგილია.

ე

~~ევალუაცია~~ *n* **evaluation** შეფასება
სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და ~~ევალუაცია~~ შეფასება.

~~ელიმინაცია~~ *n* **elimination** აღმოფხვრა
C ჰეპატიტის ~~ელიმინაციის~~ აღმოფხვრის სახელმწიფო პროგრამა.

ვ

~~ვალიდური~~ *a* **valid** დასაბუთებული, სარწმუნო; (იურიდიული მნიშვნელობით) მოქმედი, კანონიერი ძალის მქონე, ძალამოსილი
დოკუმენტი ~~ვალიდურია~~ ძალაშია 10 დღის განმავლობაში
~~ვალიდური~~ სარწმუნო ინფორმაცია.

~~ვიზიტორი~~ *n* **visitor** სტუმარი, მნახველი; ტურისტი
ათი ქვეყანა, რომლიდანაც საქართველოში ყველაზე მეტი ~~ვიზიტორი~~ ტურისტი შემოდის.

~~ვორდინგი~~ *n* **wording** სიტყვიერი ფორმულირება
~~მასკულინური ვორდინგი~~ მამაკაცური მეტყველება
მეათე წელია ეს ~~ვორდინგი~~ სიტყვები გვესმის.

ო

~~ივენთი~~ *n* **event** ღონისძიება; შეკრება, თავყრილობა; კონცერტი, სპექტაკლი
~~ივენთ-მენეჯერი~~ ღონისძიებათა მენეჯერი
~~მუსიკალური ივენთი~~ კონცერტი
~~ივენთის~~ ღონისძიების დაგეგმვა.

~~იმპლემენტაცია~~ *n* **implementation** განხორციელება, შესრულება, რეალიზაცია
პროექტის ~~იმპლემენტაცია~~ განხორციელება.

~~ინსპირაცია~~ *n* **inspiration** შთაგონება
რა შეიძლება გახდეს დიზაინერების ~~ინსპირაციის~~ შთაგონების წყარო?
~~რამ მოგცათ ინსპირაცია~~ რამ შთაგაგონათ / რა გახდა შთაგონების წყარო
ამ ფილმის გადასაღებად?

~~ინტერვენცია~~ *n* **intervention** ჩარევა
ეროვნული ბანკი ~~მოახდენს ინტერვენციას~~ ჩაერევა ლარის კურსის გასამყარებლად.

~~ისტებლიშმენტი~~ *n* **establishment** მმართველი წრეები
~~პოლიტიკური ისტებლიშმენტი~~ მმართველი პოლიტიკური წრეები.

კ

~~კოავტორი~~ *n* **co-author** თანაავტორი
ის არის საგანმანათლებლო პროგრამის ~~კოავტორი~~ თანაავტორი.

~~კოლაბორაცია~~ *n* **collaboration** თანამშრომლობა, ერთობლივი მუშაობა
დიზაინერთან ~~კოლაბორაციამ~~ თანამშრომლობამ საოცარი შედეგი გამოიღო.

~~კომუნიკაციის ქონა~~ *n* **to have communication** დაკავშირება
ამ საკითხებზე ~~კომუნიკაცია გვქონდა~~ დავუკავშირდით ეროვნულ ბანკს.

~~კონტრიბუცია~~ *n* **contribution** წვლილი
საქართველოს ~~კონტრიბუცია~~ წვლილი საერთაშორისო მისიებში
ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე დიდი ~~კონტრიბუცია~~ წვლილი ~~ვიზიტორების~~ ტურისტების რაოდენობის ზრდამ შეიტანა.

~~კოპროდუქცია~~ / ~~კოპროდუქტი~~ *n* **co-production** ერთობლივი ნამუშევარი
ფილმი ქართულ-რუსულ-პოლონური ~~კოპროდუქციაა~~ ერთობლივი ნამუშევარია.
ბათუმის დრამატული თეატრის ახალ სცენაზე კიდევ ერთი ბრიტანულ-ქართული ~~კოპროდუქცია~~ ერთობლივი სპექტაკლი განხორციელდება.

~~კრეატიული~~ *n* **creative** შემოქმედებითი, მხატვრული
~~კრეატიული~~ შემოქმედებითი ახალგაზრდა
~~კრეატიული~~ მხატვრული იდეები
~~კრეატიული~~ მახვილგონივრული გამოგონება
~~კრეატიული~~ მხატვრულად გაფორმებული ტორტი.

ლ

~~ლოკაცია~~ *n* **location** ადგილი, ადგილმდებარეობა
ფესტივალის ჩატარების დრო და ~~ლოკაცია~~ ადგილი
ეს სასტუმრო შესაძლოა კინოგადაღებების ~~ლოკაცია~~ ადგილი გახდეს.

მ

~~მასკულინური~~ *a* **masculine** მამაკაცისა; მამაკაცური
~~მასკულინური~~ მამაკაცის ხაზი (ტანსაცმლისა)

~~მასკულინური~~ მამაკაცური სახის ნაკვთები.

~~მეინსტრიმული~~ *a* **mainstream** ყველაზე გავრცელებული, წამყვანი
~~მეინსტრიმული ტრენდი~~ წამყვანი მიმდინარეობა / ტენდენცია

~~მისინტერპრეტაცია~~ *n* **misinterpretation** არასწორი ინტერპრეტაცია, არასწორი ახსნა-განმარტება
ეს ჩემი ნათქვამის ~~მისინტერპრეტაციაა~~ არასწორი ინტერპრეტაციაა.

ო

~~ობზერვაცია~~ *n* **observation** დაკვირვება
ემპირიული ~~ობზერვაცია~~ დაკვირვება.

პ

~~პანელი~~ *n* **panel** სპეციალისტების ჯგუფი
ამ საკითხების განსახილველად ~~პანელი~~ სპეციალისტების ჯგუფი შეიკრიბა
~~პანელური დისკუსია~~ დისკუსია მრგვალ მაგიდასთან.

~~პერფორმანსი~~ *n* **performance** სპექტაკლი, წარმოდგენა, სანახაობა
ქუჩის ~~პერფორმანსი~~ სანახაობა
ლიტერატურულ-მუსიკალური ~~პერფორმანსი~~ წარმოდგენა / სპექტაკლი / სანახაობა.

~~პოზიცია~~ [1] *n* **position** თანამდებობა, ადგილი
თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ, ერიკ სმითი ~~პოზიციას~~ თანამდებობას ტოვებს.

~~პოზიცია~~ [2] *n* მთავრობა
~~პოზიცია~~ მთავრობა და ოპოზიცია.

~~პრიმარული~~ *n* **primary** მთავარი, ძირითადი
~~პრიმარული ლიტერატურა~~ ძირითადი ლიტერატურა.
~~პრიმარული~~ ძირითადი და ~~სეკუნდარული~~ დამხმარე ლიტერატურა.

~~პროლონგაცია~~ *n* **prolongation** ვადის გაგრძელება, გადავადება
კრედიტის ~~პროლონგაცია~~ ვადის გაგრძელება, გადავადება.

რ

~~რეპორტი~~ *n* **report** ანგარიში
წლიური ~~რეპორტი~~ ანგარიში.

~~რესეფშენი~~ *n* **reception** მიმღები (განყოფილება)
სასტუმროს ~~რესეფშენი~~ მიმღები
საავადმყოფოს ~~რესეფშენი~~ მიმღები განყოფილება.

~~რესტორატორი~~ *n* **restaurateur** რესტორნის მფლობელი; რესტორნის მმართველი
არგენტინელი ვარსკვლავი ~~რესტორატორი ძმასთან ერთად გახდება~~ რესტორანს ძმასთან ერთად გახსნის.

~~რითრითი~~ *n* **retreat** გასვლითი (სამუშაო) შეხვედრა
ყოველწლიური ~~რითრითი~~ გასვლითი სამუშაო შეხვედრა.

ს

~~სეკუნდარული~~ *n* **secondary** მეორეხარისხოვანი, დამხმარე
~~სეკუნდარული ლიტერატურა~~ *n* დამხმარე ლიტერატურა
~~პრიმარული~~ ძირითადი და ~~სეკუნდარული~~ დამხმარე ლიტერატურა.

~~სენსიტიური~~ *a* **sensitive** ფაქიზი, საფრთხილო, საჩოთირო
~~სენსიტიური~~ ფაქიზი / საფრთხილო / საჩოთირო თემა.

~~სფიჩი~~ *n* **speech** სიტყვა, გამოსვლა
ყველა ~~სფიჩი~~ გამოსვლა 30 წუთში უნდა ჩაეტიოს.

ტ

~~ტრენდი~~ *n* **trend** მიმართულება, მიმდინარეობა, ტენდენცია
მოდური ~~ტრენდი~~ მიმდინარეობა / ტენდენცია.

უ

~~ურგენტული~~ *a* **urgent** სასწრაფო, გადაუდებელი
~~ურგენტული~~ სასწრაფო / გადაუდებელი ოპერაცია.

ფ

~~ფართი~~ *n* **party** წვეულება; შეკრება; ქეიფი, დროსტარება; მიღება, დარბაზობა
მანანას ~~ფართიზე~~ წვეულებზე კარგად მოვილხინეთ
ახალგაზრდული ~~ფართი~~ შეკრება / დროსტარება
საელჩომ თანამშრომლებისთვის ~~ფართი მოაწყო~~ მიღება გამართა.

~~ფასილიტატორი~~ *n* **facilitator** წარმმართველი; მოდერატორი; მრჩეველი, კონსულტანტი
მასწავლებელი სასწავლო პროცესის ~~ფასილიტატორია~~ წარმმართველია
დისკუსიის ~~ფასილიტატორი~~ წარმმართველი / მოდერატორი
პროექტის ~~ფასილიტატორი~~ მრჩეველი / კონსულტანტი.

~~ფინალური~~ *a* **final** საბოლოო, დასკვნითი
~~ფინალური~~ საბოლოო / დასკვნითი გამოცდები.

~~ფეშენისტა~~ *n* **fashionista** მაღალი მოდის მიმდევარი, მოდის მოყვარული, მოდით დაინტერესებული
ამ დიზაინერმა ~~ფეშენისტების~~ მაღალი მოდის მიმდევრების / მოდის მოყვარულების გულები დაიპყრო.

~~ფრუსტრირებული~~ *a* **frustrated** იმედგაცრუებული
დავითი ~~ფრუსტრირებული~~ იმედგაცრუებული იყო ამ ვითარებით.

ჩ

~~ჩელენჯი~~ *n* **challenge** გამოწვევა
ეს კომპანიისათვის ახალი ~~ჩელენჯის~~ გამოწვევის წყაროდ გადაიქცევა.

ჰ

~~ჰაბი~~ *n* **hub** ცენტრი
ზუგდიდი ტურიზმის ~~ჰაბად~~ ცენტრად უნდა გადავაქციოთ.
რეგიონული ~~ჰაბი~~ ცენტრი - კავშირი აზიასა და ევროპას შორის.